

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ოქმი №5

2018 წლის 16 თებერვალი, 12:05საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია- საკრებულოს თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებდნენ:**

საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის);

ლაგოდები-ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი- ა. გოგოლაძე;

წერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გ. მანგოშვილი.

-1-

**მოისმინეს:**

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ გაუქმების შესახებ.

/მომხს: გ.დარბაიძე/

**გადაწყვიტეს:**

ცნობად იქნეს მიღებული ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ გაუქმება.

/განკარგულება №27 თან ერთვის/

-2-

**მოისმინეს:**

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**კენჭი ეყარა საკითხს, ბიუჯეტის პროექტს, განმარტებითი ბარათის მე-6 მუხლის გარდა მხარი არ დაუჭირა 7 წევრმა: ე. ლომთაძემ, ფ. გელაშვილმა, ა.ალლაზოვმა, გ.ენუქიძემ, ე.იობაშვილმა, ა.ვარდოსანიძემ, ბ.თაბუნაძემ. დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე- 19)**

**გადაწყვიტეს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 01/01/2018, 190020020.35.167.016348).

/დადგენილება №17 თან ერთვის/

-3-

**მოისმინეს:**

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხს: გ.დარბაიძე/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -26, წინააღმდეგი-0)**

**გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართის შესაბამისად.

/დადგენილება №18 თან ერთვის/

-4-

**მოისმინეს:**

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: გ.დარბაიძე/

კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ვ. სარალიძემ.

**კენჭი ეყარა საკითხს , წინააღმდეგია 10 წევრი:** - ვ. ალიბეგაშვილი, ე. ლომთაძე, ფ. გელაშვილი, ალ. ვარდოსანიძე, დ. ლომიძე, გ. ენუქიძე, მ. იობაშვილი, ბ. თაბუნძე, ე. გვალია, ა. ალლაზოვი.  
**დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე- 15)**

**გადაწყვიტეს:**

შეტანილ იქნას ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადენილების №2 დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით ([www.matsne.gov.ge03/08/2017,010250050.35.167.016308](http://www.matsne.gov.ge03/08/2017,010250050.35.167.016308)).

/დადგენილება №19 თან ერთვის/

-5-

**მოისმინეს:**

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხს: გ.დარბაიძე/

**კენჭი ეყარა საკითხს , წინააღმდეგია 10 წევრი:** - ვ. ალიბეგაშვილი, ე. ლომთაძე, ფ. გელაშვილი, ალ. ვარდოსანიძე, დ. ლომიძე, გ. ენუქიძე, მ. იობაშვილი, ბ. თაბუნძე, ე. გვალია, ა. ალლაზოვი.  
**დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე- 16)**

**გადაწყვიტეს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №19 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge 28.07.2014, 010250040.35.167.016131](http://www.matsne.gov.ge 28.07.2014, 010250040.35.167.016131)).

/დადგენილება №20 თან ერთვის/

-6-

**მოისმინეს:**

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

/მომხს: გ.დარბაიძე/

**კენჭი ეყარა საკითხს , წინააღმდეგია 4 წევრი:** - ე. ლომთაძე, ფ. გელაშვილი, ალ. ვარდოსანიძე, ა. ალლაზოვი.


**დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე- 22)**

**გადაწყვეტის:**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №36 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01/12/2017, 010250050.35.167.016327).

/დადგენილება №21 თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია